



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 305

ქალაქი ქუთაისი 31 აგვისტო 2016 წელი

ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩის №14-ში იოსებ ოცხელისა და
იოსებ (სოსო) ოცხელის მემორიალური დაფის განთავსების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივების დროებითი საქალაქო კომისიის 2016 წლის 18 აგვისტოს სხდომის №63 ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. განთავსდეს ქალაქ ქუთაისში, თბილისის ქუჩის №14-ში იოსებ ოცხელისა და იოსებ (სოსო) ოცხელის მემორიალური დაფა (ოჯახის ხარჯებით).

მუხლი 2. მემორიალური დაფის ესკიზი და განთავსების ადგილი შეთანხმდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურთან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი